ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N7

29.01.2018

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

ოთახი 2-01

მიმდინარე წლის 29 იანვარს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი) და დავით რურუა (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამდივნოს, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" აპარატის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის დავით უჯმაჯურიძის სამდივნოს, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.
სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივის განხილვა **საქართველოს პირველი ,,ახალგაზრდული ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის"** დაფუძნების თაობაზე **(მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე)
2. **მიმდინარე საკითხები (მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე)

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

გიორგი ჩაკვეტაძე- მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო ინიციატივა **,,საქართველოს პირველი ახალგაზრდული ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობისთვი"-ს** გამართვის თაობაზე. მოგეხსენებათ, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე უპრეცენდენტო რაოდენობის ახალგაზრდა გახდა საკრებულოს წევრი, აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია, რომ გაეროს კონვენციის (დებულების) თანახმად მოვიწვიოთ 21-წლიდან 29-წლამდე ასაკის საკრებულოს მოქმედი წევრები, საქართველოს ყველა ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან, დელეგატის გამოგზავნაზე პასუხისმგებელი თავად კონკრეტული მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იქნება. მსგავსი ფორუმის ჩატარება უცხო ქვეყნის პრაქტიკაშიც გვხვდება, რომელიც ხშირია დიდ ბრიტანეთში და წარმატებით მუშაობს. გვსურს, რომ ფორუმს დელეგატებთან ერთად ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, დედაქალაქის მერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნონ. ფორუმის მიზანია, რომ ახალგაზრდებმა გაცვალონ იდეები და შედგეს მრავალპარტიული დიალოგი, წინასწარ ყველა დელეგატს გაეგზავნება საკითხთა ჩამონათვალი და ფორუმის შემდეგ აღნიშნულ შეთანხმებაზე ერთობლივად მოეწერება ხელი, ეს იქნება პოლიტიკური შეთანხმება. ფორუმის სამუშაო თემატიკა მოიცავს შემდგომს: დაფუძნდეს საქართველოს ახალგაზრდული ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, გაძლიერდეს მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობა, აღინიშნოს დემოკრატიის მნიშვნელობა საქართველოში, ახალგაზრდებმა უარი თქვან ძალადობაზე, აღმოიფხვრას ძალადობის ენა პოლიტიკიდან, ახალგაზრდული ინიციატივები და პროექტები წახალისდეს, ხელი შეეწყოს ახალგაზრდულ ჯგუფებს, გავაღრმავოთ თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ამ მიმართულებებით, გავზარდოთ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და განვავითაროთ მოხალისეობრივი ინსტიტუტები. დღის წესრიგი გულისხმობს დელეგატების რეგისტრაციას, შემდგომ კი, რეგიონალური ცენტრების მიხედვით გაკეთდება პრეზენტაციები, ბიუჯეტისა და დაგეგმილი პროექტების გათვალისწინებით, ასევე მოვისმენთ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლების პრეზენტაციას აღნიშნულთან დაკავშირებით. ნებისმიერი წინადადება, რაც დაფიქსირდება ფორუმის მსვლელობისას უნდა აისახოს შესაბამის დოკუმენტში (რეზოლუციაში). საორგანიზაციო საკითხებს უზრუნველყოფს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი. შემდგომში, კი შესაძლებელია სხვა ქალქებმა უმასპინძლონ აღნიშნულ ფორუმს.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჯაფარიძე - მოიწონა აღნიშნული ინიციატივა და ახალგაზრდული ფორუმის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი თქმით ფორუმის ჩატარება მნიშვნელოვანი იქნება და პოზიტიურ შედეგებს მოუტანს მუნიციპალიტეტს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა :

საქართველოს პირველი ,,ახალგაზრდული ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის" დაფუძნების თაობაზე წინადადება (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით ჭელიძე, გიორგი მუსხელიშვილი, დავით რურუა მომხრე- (6), წინააღმდეგი - **0**, თავი შეიკავა - (0))

გადაწყვიტეს: სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად მოიწონა ინიციატივა **,,საქართველოს პირველი ახალგაზრდული ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის"** გამართვის თაობაზე და მხარი დაუჭირა აღნიშნული ფორუმის დაფუძნებას.

გიორგი ჩაკვეტაძე- ისაუბრა, საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან მიმდინარე წლის 12 იანვარის შეხვედრის შემდგომ გამოთქმულ ინიციატივებზე და წინადადებებზე, შეხვედრაზე გაჟღერდა რამდენიმე სარეკომენდაციო სახის წინადადება გამგეობებისა და მერიის საქალაქო სამსახურებთან გასაგზავნად, მაგალითად ისნის მაჟორიტარმა წევრმა **ნინო ლაცაბიძემ** დააყენა შშმ პირებისათვის სპორტული ინფრასტრუქტურის ადაპტირების საკითხი, მოედნების ღიობისა და სხვა ინკლუზიური ელემენტების სრული გათვალისწინებით. ჩუღურეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **რამინა ბერაძამ** განაცხადა მულტიფუნქციური ცენტრის სექციების დაშლის თაობაზე, რათა ჩუღურეთის ძველ უბანსაც ჰქონდეს შესაძლებლობა აუზით, სპორტული და კულტურული სივრცეებით სარგებლობისა, რადგან 5 000 კვადრატული მეტრის ფართი ფიზიკურად არაა რაიონში მუნიციპალურ ბალანსზე, თუმცა უფრო მცირე ფართი შეიძლება გამოინახოს. გამოითქვა სპორტული სტადიონების ხშირი დაზიანებისა და დაბალი სამშენებლო ხარისხის შესახებ პრობლემები, რომელთა მოგვარებაც უნდა განხორციელდეს ტენდერის ერთიანი და გამკაცრებული სტანდარტის დადგენით, ასევე მოვლა-პატრონობის ვალდებულების ჩადებით თუნდაც ერთი წლის მანძილზე. **ოთარ გრიგოლიას** ინიციატივა გახლდათ ველოსიპედებისათვის დაცული პარკირების სადგომების შექმნა, თუნდაც საპილოტედ გლდანის ტერიტორიაზე. **ქეთევან ჯოხაძემ** ისაუბრა, 2018 წელს უკვე ასაშენებელ მულტიფუნქციურ ცენტრებში ესპანური გამოცდილების გათვალისწინებაზე და ერთიანი სივრცის მრავალფეროვნებაზე და ხელმისაწვდომობაზე ყველა ასაკის მოქალაქისათვის, როგორც კულტურული, ასევე სპორტული, ახალგაზრდული და სხვა მიმართულებებით სერვისების ერთად თავმოყრის კუთხით. **ილია ჯიშკარიანის** ინიციატივა იყო ბოჭორმის ქუჩაზე არსებულ ყოფილ სპორტულ კომპლექს (ე.წ ,,სკაში") სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენასთან დაკავშირებით, ამჟამად ტერიტორია კერძო პირის საკუთრებაა, მაგრამ ალტერნატიული ფართის შეთავაზების შემთხვევაში მეპატრონესთან შესაძლებელია მოლაპარაკება. **შალვა ოგბაიძემ** დააფიქსირა მოსაზრება, რომ ავჭალის ტერიტორიაზე მულტიფუნქციური ცენტრის ასაშენებლად არსებობს შესაბამისი ტერიტორია, მაგრამ თუ ვერ მოხერხდება წელს აღნიშნული ცენტრის აშენება, იქნებ მერიის ჩართულობით, ან კერძო ინვესტორებთან ერთად, მოხერხდეს ზაჰესისა და ავჭალის მოსახლეობისათვის, თუნდაც ერთი სატრენაჟორო დარბაზის შექმნა, რომ არ დასჭირდეთ რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლა გლდანის მიკრო რაიონებში არსებულ უახლოეს სპორტულ დარბაზთან მისასვლელად. **ალექსანდრე ხუჯაძის** თქმით მის სამაჟორიტარო ოლქში შერჩეული მულტიფუნქციური ცენტრის ასაშენებელი ტერიტორია მნიშვნლოვანია და მოიცავს რამდენიმე საარჩევნო ოლქს ერთიანად. **თემურ გორგაძის** მიერ გამოითქვა სურვილი ზემო ფონიჭალაში საფეხბურთო სტადიონის შესაბამისი სტანდარტების აშენების კუთხით. ასევე გამოითქვა ინიციატივა შშმ პირთათვის ახალი სპორტის სასახლის ადაპტირებასთან დაკავშირებით. შემოვიდა ინიციატივა გლდანის ორ კონკრეტულ მისამართზე სკვერში გარე მოწყობილობის ტრენაჟორების დამონტაჟებასთან დაკავშირებით. ასევე საუბარი შეეხო ვარკეთილისა და დიდი დიღმის ტერიტორიაზე მულტიფუნქციური ცენტრების აშენებას.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი მუსხელიშვილი - მიზანშეწონილი იქნება, რომ წყნეთის საჭიდაო დარბაზის ტერიტორიაზე დაგეგმილ სპორტულ ინფრასტრუქტურას დაემატოს სხვა სპორტული ფუნქციები, რადგან მხოლოდ ერთი მიმართულებით არ იყოს გაწეული ხარჯი და ადგილზე მოემსახუროს სპორტის სხვადასხვა სახეობას.

გადაწყვიტეს: სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ მხარი დაუჭირა სარეკომენდაციო სახის წერილის გაგზავნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის საქალაქო სამსახურებთან და რაიონულ გამგეობებთან (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით ჭელიძე, გიორგი მუსხელიშვილი, დავით რურუა, მომხრე- (6), წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - (0)) .

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ჩაკვეტაძე